წელიწადი 1-ლი     გაზ. ფასი 3 შაური.     ტელეფონი № 76.     სამშაბათი სექტემბრის 26—(9) 1917

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
თვიურათ . . . . 3 მან.
ოთხი თვით . . . . 1 თუმანი.
ცალკე ნუმერი . . . . 3 შაური.
განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით სტრის . . 5 მან.
უკანასკნელ გვერდზე . . . . 5 შაური.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადებანი ...
სამგლოვიარო განცხადების ... 
უმეტეს სამი გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათ. 6 მ. 2 საათის შემდეგ 7 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახში. კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 135     ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი     № 135

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარასკევს, 22 სექტემბერს, გარდაიცვალა ღრმა-მოხუცობაში მყოფი

**ივაკა გიორგის ძე ჯორჯიკია**

რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რძლები: ბაბილინე და ანიკო, შვილები: ნინო, ეკატერინე, მიხეილ, გიორგი, დავითი და კონსტანტინე, სიძეები: იონა მეუნარგია და მიხეილ შენგელაია. დაკრძალვა მოხდება დ. ხობის მონასტერში.

---

გულდამწუხრებული მეუღლე ედუკი, შვილები: ოლია, მარო და შალვა, ძმა პავლე, და თეო, ცოლის ძმა ნიკო შონია ცოლ-შვილით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა პირველის მეუღლე, მეორენის მამა, მესამესი და მეოთხესი ძმა, მეხუთესი სიძე

**მიხეილ სიმონის ძე ლეკვიაშვილი.**

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, (ძვ. დროით) დაკრძალვა მოხდება სამშაბათს, ენკენისთვის 26, ნაშუადღევის 3 საათზე, (ძველი დროით). მისამართი: თფილისის ქუჩა, ეზიკოვის სახლი. ცალკე ბარათები არ დაიბეჭდება.

---

დამწუხრებული შვილები: ვიკტორ, ვასილ, გიორგი, ელპიტე, ანიჩკა, გალინე და ცუცა; რძლები: ფაქიზო და ნინო; სიძეები: ვასილ და არსენ და შვილის-შვილები აუწყებენ ნათესავთ მეგობართ და ნაცნობთ; რომ 3 ოქტომბერს დაბა ლაილაშში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი ძვირფასი პირველთ დედის, მეორეთა დედამთილის, მესამეთა სიდედრის, მეოთხეთა ბებიის

**ალექსანდრა დავითის ასულის ჩარხიანისა**

გარდაცვალებიდან ორმოცის დღის შესრულების გამო.

---

თავად ალექსანდრე (საშა) და მეუღლე მისი კნ. ვერა მხეიძენი, ღრმად დამწუხრებული აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, პირველი ძვირფასი მამისა და მეორე დაუვიწყარი მამამთილის.

**თ-დ ბესარიონ გრიგოლის ძის მხეიძის**

გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა დანიშნულია ხუთშაბათს 28 სექტემბერს ქ. ახალ-სენაკში. გამოსვენება დილის 9 საათზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათზე.

---

22 სექტემბერს ნაშვადღევის 2 საათზე უეცრათ გარდაიცვალა

**პეტრე იოსების ძე ყიფიანი,**

რასაც უზომო მწუხარებაში მყოფნი **მეუღლე გადაცვალებულისა ქეთევან შვილებითურთ და დაი პეპე** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობებს. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 5 ნახევარ საათზე, (ძველი დროით) საკუთარი ბინა, სოლომონ წერეთლის სახლი, კოკოჩაშვილის აფთიაქის გვერდით. დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 28 სექტემბერს ნაშვადღევის 3 საათზე (ძველი დროით).

---

**კონსტანტინე ზურაბისძე გარაყანიძე** მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობებს, რომ მოულოდნელათ გარდაიცვალა 22 სექტემბერს ნაშუაღამევის 2 საათზე ძვირფასი სიძე მისი

**პეტრე იოსების ძე ყიფიანი**

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 5 ნახევარ საათზე (ძველი დროით). საკუთარ ბინაზე, სოლომონ წერეთლის სახლი, კოკოჩაშვილის აფთიაქის გვერდით.

---

## ძმ. ყორყოლაძეების მაღაზიაში

(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი)

მიღებულია სახნის **სოდა** და საპნისთვის ქონის მაგიერი საშვალება **„ქიროლინი“**, აგრეთვე ყოველივე მისთვის მასალები. ფასები ზომიერია.

---

## ქართველთა სამხედრო კავშირი

(ქუთაისის განყოფილება).

ამით აცხადებს, რომ კავშირში წევრად ჩაწერა შეუძლია ყველა ქართველ მხედარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხედრო ექიმებს და სამხედრო მოხელეებს). არა სამხედრო პირთ შეუძლიათ დამხმარე წევრად ჩაწერა. კავშირი უპარტიოა. კავშირს აქვს თავისი სამკითხველო, სადაც სწარმოებს წევრად ჩაწერა და შეწირულება მიიღება დილის 8—2 და საღამოს 5—9 საათამდის.

**მისამართი: ქუთაისი, ვორონცოვის ქუჩა, ქართველთა სამხედრო კავშირი:**

---

ელექტრო **„რადიუმი“** თეატრი.

## ციკლონი

არა ჩვეულებრივი კინო-პიესა ხუთ ნაწილათ. ევროპის უემხიანესი ქალის სიუზანა არმელის მონაწილეობით, ამერიკელ მილიონერ ქალის როლში.

---

## წიგნის გამომცემლობა „განათლება“

**აცხადებს, რომ დაიბეჭდა და გამოიცა შემდეგი წიგნები:**

1. სილ. ხუნდაძის ქართული გრამატიკა . . ფ. 1 მან. 5 შაური.
2. მისივე—მოკლე ქართ. გრამატიკა. . . ფ. — — 10 „
3. ი. ნიკოლაიშვილის მოკლე ქართ. გრამატიკა . ფ. — — 10 „
4. ოცხელის ელემენტარული ალგებრა. . . ფ. 1 მან. 10 შაური
5. მისივე—გეომეტრია . . . . ფ. 1 „ 10 „

**იბეჭდება:**

1. დასაწყისი გეოგრაფია მრავალი სურათებით შემკული, შედგ. გ. ცაგერეიშვილის, დ. ქუთათელაძისა და შ. სანიკიძის მიერ.
2. არითმეტიკული კრებული გიმნ. I, II და III კლ. კურსი, შედგ. ალ. ჯაფარიძის, ს. დითეშიძისა და ალ. მგალობლიშვილს მიერ.

**მისამართი:** ქუთაისი, თფილისის ქუჩა, ზაქ. მაჭავარიანის სახლი.

---

**ექიმი**

**ზ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 6—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრ. ქ. საკუთარი სახ.

---

**ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე** იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი

---

**ექიმი შალვა კოკოჩაშვილი** იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფთ დღის 12—2 და საღამოს 5—7. მისამართი: თბილისის ქუჩა, № 46. ტელეფ. 87.

---

## გადამიჯვნის შესახებ.

არ ვიცით, არსებითად რა საფუძველს ემყარებიან, როდესაც ზემო ნაჩვენებ კითხვას რიგო განსახორციელებლათ აყენებენ. წინდაწინვე ვაცხადებთ, რომ ჩვენ ამიერ-კავკასიის გადამიჯვნის წინააღმდეგნი არა ვართ. უარვყოფთ მხოლოდ ისეთ პროექტს, რომელიც სალი სახელმწიფური პრინციპით და აუცილებლობით კი არ არის ნაკარნახევი, არამედ შედგენილია ხალხის სავნებლათ და ახალ უსწორ-მასწორობა-უხერხულობის შესაქმნელათ.

ახლო წარსულში ამიერ-კავკასიის გადამიჯვნას ბიუროკრატიული ტენდენციები ასულდგმულებდა მთავარ-მართებელნი ბარიათინსკი, ვორონცოვი და დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე დიდათ ეცადენ, რომ კავკასიაში **ეროვნული ერთეული** დაექუცმაცებიათ და მისთვის სახე შეეცვალათ. ამ ვერაგ მიზნის მისაღწევათ მთავარმართებლებმა გააუქმეს საქართველოს ტერიტორიის საზღვრები და 1783 წლის ხელშეკრულების დარღვევით საქართველო უბრალო გუბერნიებათ აქციეს. 1847 წ. მთავარმართებელმა თ-დმა მიხ. ვორონცოვმა საქართველოს ოფიციალი ეროვნული სახელწოდება მოუსპო და გამოაცხადა თფილისის და ქუთაისის გუბერნიათ. ამის შემდეგ რუსეთის თვითმპყრობელური მმართველობა სპობს სიტყვა საქართველოს.

ბოროტების მთესველი და გადაშენების გამავრცელებელი წყეული დრო რევოლუციამ დაასამარა. გვეგონა, რომ აწ აღარ ექნებოდა ადგილი უსამართლო ტენდენციებს, და არ განიზრახავდენ ხალხის, ერის ინტერესის უდიერათ ფეხ ქვეშ გათელვას.

მკითხველებს მოეხსენება, რომ ახლომომავალში მუშაობა დაიწყება ამიერ-კავკასიაში ერობის შემოსაღებათ. ამ კითხვასთან ერთად შინაგან საქმეთა სამინისტროში აღძრულია კითხვა ამიერ-კავკასიის ხელ-ახლა გადამიჯვნის საჭიროებაზე. შინაგან საქმეთა სამინისტროს გადამიჯვნის მოხდენა აუცილებლათ ჩაუთვლია, პროექტი შეუდგენია და ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტისთვის გამოუგზავნია თავის მხრივ განსახილველათ. რომ ამიერ-კავკასია შეუფერებლათ, მახინჯ ტენდენციებით არის გამიჯნული, ამაში ოდნავ გონიერ ადამიანს ეჭვი არ შეეპარება. ახლა არსებულ ბოროტებას კიდევ ბოროტება უნდა მიუმატონ. აწინდელი გამიჯვნა მიმართულია ქართველების საზარალოთ და სამტროთ.

ოსმალეთიდან გამოქცეული სომხები ამიერ-კავკასიაში სამკვიდრებელს ეძიებენ. სომხებს სწადთ, ცოტა ერთ ერს ჩამოაგლიჯონ, პატარა მეორეს და ამრიგად ამიერ-კავკასიაში თავისთვის ტერიტორია მოიპოვონ. ამიტომ არის, რომ „დაშნაკცუტიუნი“-ს პარტია მუდამ დიპლომატობს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე და უნდა ამ ქაოტიურ მომენტში დრ. მმართველობას გამოსტყუოს საბუთი ამიერ-კავკასიაში შემოხიზნულ სომეხთა ტერიტორიულობისა.

გამოვიდა წიგნაკი („Объяснительная записка), რომელშიც ნაჩვენებია, თუ როგორი სახით უნდა მოხდეს გადამიჯვნა. წიგნაკი სხვათა შორის აღიარებს, რომ საქართველოს მთების მოსახლეობა (მაგ. გორის, რაჭის და თიანეთის მაზრები) შეუერთდეს მთიან ოლქს ე. ი. თერგს. მოდით და ნუ გაგვეცინებათ! რა ლოღიკით ხელმძღვანელობდენ, ასეთ უკვდავ პროექტს რომ ადგენდენ: რაჭას, ფშავეთს და ქართლს საქართველოს კავშირში ვერ უცხოვრიათ, რომ თერგს არ შეუერთდენ?.. ჩამოთვლილ კუთხეთა რომელმა მცხოვრებმა წარმოსთქვა სურვილი საქართველოს ოჯახიდან გაყრის და თერგთან შეკავშირებისა?..

კურიოზები კიდევ არის. თბილისის ორი მაზრა: ახალ-ქალაქისა და ბორჩალოსი სომხურ გუბერნიას, ერევანს უნდა გადაეცეს,

არაფერს ვიტყვით თვით ამ მაზრების მნიშვნელობაზე. საქართველოს უფლება ბორჩალოს და ახალ ქალაქის მაზრებზე განმტკიცებული და უზრუნველ-ყოფილია 1783 წლის ტრაქტატით და ამ მაზრების ჩვენს მიერ მფლობელობა ისე სადავოა ჩვენთვის. როგორც გორის და რაჭის მაზრისა, ბეც ადამიანს რომ თერგისთვის უთავაზნია.

ჩვენ გვმართებს უაღრესი სიფრთხილე და სიფხიზლე, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს და „დაშნაკცუტიუნის“ ბადეში არ მოვექცეთ. წარსულ საერობო თათბირზე შინაგან სამინისტრო ქართველების სამტროთ აღიძრა, „დაშნაკცუტიუნი“ ჭეშმარიტ დემოკრატათ მონათლა, გვერდში ამოიყენა და მას ყველაფერს უჯერებდა. სამწუხაროთ დღესაც ასეა.

ქართველებმა თავი უნდა დავიცვათ და ჩვენი წმინდა უფლებანი არავის შევაბლალვინოთ. ამიერ-კავკასიის გადამიჯვნის შესახებ, რომელიც საქართველოს საწინააღმდეგოთ წარმოდგა, თავის ავტორიტეტული სიტყვა უნდა სთქვას საქართველოს ეროვნულმა ინტერპარტიულმა საბჭომ.

**დ.**

---

## პეტროგრადის დემოკრატიული თათბირი.

პ. დ. ს.

**დ ე პ ე შ ე ბ ი.**

**ენკენისთვის 20 ს სხდომა.**

**ს ხ დ ო მ ი ს დ ა წ ყ ე ბ ა.**

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 20. სხდომა დაიწყო 11 საათზე და 16 წ. თავმჯდომარე **ავქსენტიევი** აცხადებს: პრეზიდიუმმა აასრულა დავალებული მოვალეობა და მის მუშაობის შედეგს წერუთელი მოგახსენებთო.

**ირ. წერეთლის სიტყვა.**

სიტყვა ეძლევა **ირ. წერეთელს**, რომელსაც ხანგრძლივი ტაშით ეგებებიან. ორატორი აცხადებს: ჯგუფთა ცენტრალ კომიტეტების წარმომადგენლებით შევსებულ პრეზიდიუმმა მიზნად იმ საერთო რამის გამონახვა დაისახა, რაც თათბირის უმრავლესობისათვის მისაღები იქნებოდა. ასეთ საერთო რამედ უპირველეს-ყოვლისა იმის მიღება გამოვიდა, რომ მომავალ მთავრობის მოქმედებას საფუძვლად ის პროგრამა უნდა დაედოს, რომელიც გაერთიანებულ დემოკრატიამ მიიღო მოსკოვის თათბირზე მარიამობისთვის 14-ს. მეორე, რაც თითქმის ყველა მოთათბირემ მიიღო,—მთავრობის პასუხისმგებლობა იმ ორგანოს წინაშე, რომელსაც თვით დემოკრატია შექმნის. მთავრობის შედგენის საკითხი გადაუწყვეტელი დარჩა. ის ორგანო, რომლის წინაშეც მთავრობა პასუხისმგებელი იქნება, უნდა შესდგეს იმ წარმომადგენლობითი პროპორციულ პრინციპით, რომლითაც ეს თათბირი მოეწყო; შემდეგში, თუ შესაძლებელი გახდება, რომ მთავრობის შემადგენლობაში შევიდნენ ის ცენზიანი ელემენტები, რომლებიც გაერთიანებულ დემოკრატიის პროგრამას მიიღებენ—მაშინ წარმომადგენლობით ორგანოს შემადგენლობაში ხსენებული ელემენტებიც შევლენ, მხოლოდ იმ პირობით, რომ ხსენებულ ორ-

განოში უმეტესად დემოკრატია მიიღებს მონაწილეობას: წერეთელი ღრმა რწმენას გამოსთქვამს, რომ თათბირი პრეზიდიუმის წინადადებას მიიღებს და მოსპობს დემოკრატიის შორის განხეთქილების აზრდილს. შემდეგ იგი წინადადებას იძლევა დაავალონ პრეზიდიუმს თავიანთ შორის მოხსენებაში აღნიშნულ ღონისძიებათა ცხოვრებაში გასატარებლად 5 კაცი აირჩიონ. (მქუხარე ტაში).

თავმჯდომარის წინადადებით კრება ერთხმად სწყვეტს წერეთლის მოხსენებაზე მსჯელობა არ იქონიონ. სიტყვები ეძლევათ მხოლოდ ფრაქციების წარმომადგენლებს კენჭის-ყრის შესახებ.

**ტროცკის სიტყვა.**

ბოლშევიკების სახელით **ტროცკი** აცხადებს, რომ ისინი ხმას მისცემენ მთავრობის პასუხისმგებლობაზე, საგანგებო ორგანოს შედგენაზე, რომელიც მთავრობის კონტროლი იქნება, მხოლოდ წინააღმდეგნი არიან თათბირიდან ორგანოს შედგენაზე. მთელს რეზოლუციაზე ბოლშევიკები თავს შეიკავებენ და წინააღუდგებიან იმ შემთხვევაში, თუ საკონტროლო ორგანოში ცენზიანი ელემენტები შევლენ.

სოციალისტ რევოლუციონერთა სახელით **გოცი** აცხადებს, რომ ფრაქციამ ერთხმად დაადგინა, რეზოლუციის მხარის დაჭერა.

მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერთა სახელით **კარელინი** ცენზიან ელემენტების მონაწილეობას ეწინააღმდეგება, მთელ რეზოლუციას კი მხარს უჭერს.

შეერთებულ სოციალ დემოკრატების მენშევიკების სახელით **ხინჩუკი** მხარს უჭერს (გაურკვეველია).

**აბრამოვიჩი** მენშევიკ ინტერნაციონალისტების სახელით მხარს უჭერს რეზოლუციას.

**ზნამენსკი** მშრომელთა სახელით და კუჩკინი მთელ ფრონტის ჯგუფის სახელით მხარს უჭერენ რეზოლიუციას.

**ჩაიკოვსკი,** კოოპერატიულ ჯგუფის სახელით აღნიშნავს დასმულ საკითხების გაურკვევლობას და მოითხოვს კენჭისყრის გადადებას ნახევარ საათით მაინც. წინააღმდეგ შემთხვევაში თავს შეიკავებს.

**თავმჯდომარე** აქსენტიევი აცხადებს, რომ საჭიროა რეზოლუციის მომხრე ხმების მაქსიმუმი და წინადადებას იძლევა სხდომის ღამის 12 საათამდის შეწყვეტაზე.

**ირ. წერეთლის რეზოლუცია.**

„ძლიერ სარევოლუციო მთავრობის შესაქმნელად მარიამობისთვის პროგრამა უნდა განხორციელდეს—ესაა საყოველთაო ზავისაკენ მიმართული ცხოველი საგარეო პოლიტიკა და დამფუძნებელ კრების მოწვევამდე მთავრობა პასუხისმგებელი იყოს წარმომადგენლობითი დაწესებულებათა წინაშე. ამ საფუძველზე მთავრობის შესაქმნელად ყრილობამ უნდა გამოჰყოს მუდმივი ორგანო. თუ მთავრობა კოალიციური იქნება, მაშინ ამ ორგანოში ბურჟუაზიის წარმომადგენლებიც შევლენ, მაგრამ დემოკრატიული ელემენტები უნდა სჭარბობდნენ. ყრილობა პრეზიდიუმს ავალებს წარმოადგინოს ხვალ ყრილობის წევრებისგან შემდგარ დაწესებულების, არჩევნების პროექტი და დაასახელოს 5 კაცი მთავრობის წევრებად“.

ამ რეზოლუციას მუხლობრივ უყარეს კენჭი და ყველა მუხლები მიიღეს.

ვიდრე მთლიან რეზოლიუციას უყრიან კენჭს ბოლოშ. **ლუნაჩარსკი და კამენევი** პროტესტს აცხადებენ რეზოლუციაში მათდა დაუკითხავად შეტანილ ცვლილებათა გამო **აბრამოვიჩი დანი და წერეთელი** უარჰყოფენ ამას. ყველა ამ განცხადებებს თან სდევს ინციდენტი და მღელვარება დარბაზის ხან ერთისა და ხან მეორეს მხრიდან, **ლუნაჩარსკი** აცხადებს, ბოლშევიკები რეზოლუციას მხარს არ დავუჭერთო.

პრეზიდიუმის სახელით **წერეთელი** აცხადებს, რადგანაც საჭიროა რეზოლიუცია ერთსულოვანად იქმნეს მიღებული, სიტყვები: „მთავრობის დახმარება“-ს მაგივრად, რომლებიც ბოლშევიკებს არ მოსწონთ, შეტანილი იქნება სიტყვები „მთავრობის შექმნაო“. ღღეის შემდეგაო [illegible] **წერეთელი,** ბოლშევიკებს ნოტ[illegible]სა და 2 გადამწერის თანადასწრე[illegible] ველაპარაკოთ ხოლმეო“. ბოლ[illegible] ხმაურობა და ყვირილი დაი[illegible] პირით ბოლშევიკები იმუქრ[illegible], რომ დარბაზს მიატოვებენ, თუ წერეთელი უკან არ წაიღებს თავის სიტყვებს. მღელვარება და ხმაურობა გრძელდება. ბოლშევიკები ყვირიან: „მოსათიქრებლად 5 წამს გაძლევთო“. ბოლშევიკების ერთი ნაწილი დარბაზის დატოვებას აპირებს. 10 წამით კრება შესწყდა.

კრების გახსნისას თავმჯდ. აქსენტიევი ამბობს, საჭიროა ინციდენტს ბოლო მოუღოთო. მან წესიერებისკენ არ მოუწოდა წერეთელს და პრეზიდიუმის დადგენილებით სიტყვა მისცა **ჩერნოვს,** რომელიც სასტიკ ბრალსა სდებს ბოლშევიკებს, რომ მათ ეჭვი შეაქვთ წერეთლის პოლიტიკურ სისპეტაკეში და მას პოლიტიკურ მოსაზრებით რეზოლიუციის გადაკეთებას სწამებენ. ჩერნოვი ამბობს, ასეთი გამოსვლა ამ კრების წევრისათვის შეუფერებლად სთვლის. (მქუხარე ტაში). ბოლოს კრებას დაწვრილებით მოუყვა პრეზიდიუმის მიერ რეზოლიუციის მიღების ამბავს და წერეთლის სიმართლე ცხად ჰყო.

**თავმჯდომარემ** რამდენიმე ამავე ხასიათის განცხადება მიიღო, კრებას სთხოვს, ინციდენტი გათავებულად ჩასთვალონ.

შემდეგ **წერეთელმა** განაცხადა, რომ მისი სიტყვები ნოტარიუსისა და გადამწერთა შესახებ მხოლოდ იმ ბოლშევიკებს შეეხებოდა, ვისაც ეჭვი შეჰქონდათ მის პოლიტიკურ სისპეტაკეში (ტაშის ცემა და ხანგრძლივი ოვაციები).

**აქსენტიევი,** როგორც თავმჯდომარე აცხადებს: ინციდენტმა პოლიტიკური ხასიათი დაჰკარგა და პირად უთანხმოების ხასიათი მიიღო, ამიტომ ისინი, ვისაც ინციდენტი შეეხებათ საქმეს სხვაგან გადასწყვეტენო.

იმისდა მიუხედავად, რომ ბოლშევიკებმა დიდი აურ-ზაური ასტეხეს, კრება რეზოლიუციის კენჭის ყრას შეუდგა.

მემარცხენე სოციალისტ-რევოლიუციონერთა წარმომადგენლი ცაკოვი აცხადებს, რომ ჯგუფი რევოლიუციის წინააღმდეგ მისცემს ხმას. კენჭის ყრა, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ისმოდა „მოიწვიეთ ყველა ბოლშევიკებიო“, წესიერად მიმდინარეობდა. თავმჯდომარე აღნიშნავს, არავინ არ უდგება ბოლშევიკების დარღვევას წინაო.

ხუთ საათზე კენჭის ყრა გათავდა. **რეზოლიუციის მომხრეა 829,—მოწინააღმდეგე 106, თავს იკავებს 69.**

**ავქსენტიევის განცხადება**

სხდომა იწყება 6 საათზე და 50 წუთზე. თავმჯდომარე ავქსენტიევი აცხადებს, რომ მორიგ საკითხებად წამოყენებულია დემოკრატიულ საბჭოს შედგენა, რომელიც ამ თათბირიდან უნდა გამოეყოსო. ამასთანავე პრეზიდიუმის საგანგებო კომისიის მუშაობის შედეგთა მოხსენება იქნება წაკითხულიო.

**ვოიტინსკის სიტყვა.**

სიტყვა ეძლევა ჯარის კაცთა დეპუტატების ცენტრალ კომიტეტის წევრს ვოიტინსკის. ვოიტინსკი აცხადებს: კომისიამ, საერთო დებულების სახით, დაამტკიცა, რომ დემოკრატიული საბჭო უნდა წარმოადგენდეს ყველა თათბირში მონაწილეთა სულიერ მდგომარეობის, ლტოლვილების და ინტერესების შემცირებულ ასლს. საბჭოს შედგენა განზრახულ იყო ორი საშუალებით: პირველი —თათბირი დაიყოს პარტიულ ჯგუფებზე და ფრაქციებზე და საბჭოს წარმომადგენლები თავთავიანთ რაოდენობის მიხედვით აირჩიონ. მეორე —საბჭოში ყველა ჯგუფმა თავ-თავიანთი წარმომადგენლები პარტიულ შეხედულების მიხედვით წარმოადგინოსო. თათბირში მონაწილე ზოგიერთა ჯგუფმა თავიანთი უპარტიობა განაცხადა და, ამის გამო პარტიული წარმომადგენლობაზე შეჩერდა. ამასთანავე ვისაც სურს პარტიულ არჩევნების უფლება შეინარჩუნოს უფლება აქვს არჩევნები პარტიულ პლატფორმაზე მოახდინოს. მომავალ საბჭოს ნაკაზი კომისიამ არ შეიმუშავა და წინადადებას აძლევს თათბირს თავისი უფლებები საბჭოს გადასცეს. ნაკაზს შეიმუშავებენ შემდეგში იმ ძალთა და რეალ მიზნების მიხედვით, რომელთაც დემოკრატიის წინ დავინახავთ წამოყენებულს. დასასრულ ვოიტინსკი აცხადებს საბჭოს არჩევნების წესს და მის წევრთა რაოდენობას.

**დემოკრატიული საბჭო.**

1) სრულიად რუსეთის დემოკრატიული საბჭო ეს ის დაწესებულებაა, რომელსაც თათბირის ყველა უფლება გადაეცემა.

2) საბჭო თავის მოქმედების ნაკაზს თვითვე შეიმუშავებს.

3) საბჭო აირჩევა თათბირის შემადგენლობიდან თათბირზე მოწვეულ ყველა ჯგუფთა პროპორციულ წარმომადგენლობითი პრინციპის მიხედვით.

4) თვითეული ჯგუფი საბჭოში თავის წარმომადგენლებს ჰგზავნის. თვითეულ ჯგუფის წარმომადგენელთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს თათბირის მოწვევის დროს მის მიერ წარდგენილ მანდატების 15 პროცენტს.

5) შეიძლება ჯგუფებიდან პარტიულ ფრაქციების გამოყოფა. თვითეულ ფრაქციას იმდენ მანდატების მოხმარების უფლება ექნება, რამდენი წევრიც ფრაქციაში შედის და თათბირს ესწრება.

6) თვითეულ ორგანიზაციას უფლება აქვს საბჭოში თავისი გამოგზავნილი წარმომადგენელი შეცვალოს. საბჭოდან გაწვეულის მანდატი ძალას ჰკარგავს მის ადგილზე მეორეს დანიშვნის დროს.

საბჭოს შემადგენლობა: ქალაქებიდან 45 წარმომადგენელი, ერობათაგან 45 მათ შორის 5 კაცი საგუბერნიო კომიტეტებიდან, ჯარისკაცთა დეპუტატების საბოჭიდან 38, გლეხთა დეპუტატების საბჭოდან 38, კოოპერატივებიდან 24, მათ შორის 5 მუშათა კოოპერაციიდან და 15 იც საზოგადოდან. პროფესიულ კავშირებიდან 21, სავაჭრო-სამრეწველო მოსამსახურეთაგან 5, რკინის გზებიდან 5, ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთაგან 22, მომქმედ ლაშქრიდან 25, მათ შორის ერთი დაშავებულთაგან, ფლოტის წარმომადგენელი 2, ყაზახთაგან 6, მათ შორის 3 ყაზახთა ჯარის საბჭოდან და 3-იც ფრონტის ყაზახთაგან. ეროვნულ ორგანიზაციებისათვის 25 ადგილი, რომელიც ეროვნებათა შეთანხმებით უნდა დაიყოს, სადგილ-მამულო კომიტეტებიდან 7, ეკონომიურ ორგანიზაციებიდან 3, გლეხთა კავშირიდან 2, მასწავლებელთა კავშირიდან 2, სავექილო კავშირიდან 1, ქალთა ორგანიზაციებიდან 1, დანარჩენ ორგანიზაციებიდან 10 სულ 308. დასასრულს ვოიტინსკი აღნიშნავს რომ საბჭოს შემადგენლობას საფუძვლად უძევს 3 პრინციპი. რომელიც შემდეგ სიტყვებში გამოიხატება: ამ საბჭოს პროპორციული წარმომადგენლობა და მის ნაყოფი ზომიანი მუშაობა. დემოკრატიულ საბჭოში არ უნდა შედიოდეს 300—400 კაცზე მეტი. არჩეულ 308 კაცს დაემატება ცენზიან ელემენტების წარმომადგენლები, რომ საბჭო სრულიად რუსეთის წინასწარ პარლამენტად გადაიქცეს. სხდომა 11 საათამდე სწყდება.

# ეროვნული კითხვა.

## ფინეთი და რუსეთი

### ახალმა სეიმმა ფინლიანდია რესპუბლიკად გამოაცხადა

**ჰელსინგფორსი.** ენკენისთვის 21. მორთველობის ახალ ფორმის პროექტების შემუშავების გამო გაზეთი „გააკსანა“ სწერს: „ახალმა სეიმმა, გამოაცხადა რა თავისი თავი ეროვნულ დამფუძნებელ კრებად, ფინლიანდია რესპუბლიკად აღიარა. საკანონმდებლო ფუნქციებს შეასრულებს სეიმი, მთავარი ადმინისტრატიული მთავრობა პრეზიდენტის ხელში იქნება. პრეზიდენტს აირჩევენ პირდაპირის ხმით, 5 წლის ვადით, პრეზიდენტი განაგებს საგარეო წარმომადგენლობას, ადგენს ახალ სამინისტროებს, ამტკიცებს სეიმის მიერ მიღებულ კანონებს; მას აქვს უფლება შეწყნარებისა და უმაღლეს პირთა თანამდებობაზე დანიშვნისა. მინისტრები პასუხს აგებენ სეიმის წინაშე. არსდება უმაღლესი სასამართლო, რომლის უწყების ქვეშ იმყოფება დანარჩენი დაბალი სასამართლო ინსტანციები. რუსეთის და ფინლიანდიის დამოკიდებულება შეთანხმებით გადასწყდება. შეთანხმება ორის ქვეყნის პალატათა საქმეა. თუ შეთანხმება არ მოხდა, ორივენი ცალცალკე თავთავიანთთვის შემუშავებულ მართლობის ფორმით იცხოვრებენ, ან და საკითხი გადასაწყვეტად სამშვიდობო კონფერენციას გადაეცემა. გამოაცხადებს რა დამოუკიდებლობას, სხვა და სხვა სახელმწიფოებს ამას წარმომადგენლებით აცნობებს, და სამშვიდობო კონფერენციაზე გასაგზავნად წარმომადგენლებს აირჩევს. ომის შემდეგ რუსეთი ფინლიანდიიდან ჯარს გაიყვანს და ფინლიანდიის ციხეებს ფინლიანდიას დაუბრუნებს.

# რევოლუციის ამბები.

### პ. ღ. ს.

### დეპეშები.

**დამფუძნებელი კრების გარშემო.**

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 18. დამფუძნებელ კრების არჩევნების მოსაწყობად გადაწყვეტილია გადაიდოს 6 მილიონი მანეთი. ადგილობრივ საქალაქო და სასოფლო თვითმართველობის სათანადო დაწესებულებათა დაარსებამდე დამფუძნებელ კრების არჩევნების მოწყობა ქალაქის გამგეობას, ქალაქის მოურავ და სასოფლო საარჩევნო კომისიებს ექნებათ დაკისრებული.

**უწესოება ბალტიის ფლოტში.**

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 19. ფლოტის ცენტრისა და საზღვაო მინისტრის შორის ბინის გამო უთანხმოება მოხდა. ფლოტის ცენტრმა მოითხოვა უფროსების გადაყენება, საზღვაო მინისტრის პირველი თანაშემწის გამოცვლა და ბინის დათმობა. დრ. მთავრობამ განიხილა ეს მოთხოვნილებანი და დაადგინა: 1) დაითხოვოს ფლოტის ცენტრი და დანიშნოს ახალი არჩევნები, 2) ბალტიის ფლოტში მღელვარების მოხდენა ცენტრის მოღალატეობათ ჩაეთვლება და მისი წევრნი სამართალში იქმნებიან მიცემულნი, როგორც აჯანყების წამქეზებელნი. ეს დადგენილებანი ფლოტის ცენტრს ეუწყება.

**კომიტეტების დადგენილებათა განსახილველა**

**პეტროგრადი.** ენკ. 19. დრ. მთავრობამ გამოაქვეყნა საზურსათო და სამიწათმოქმედო კომიტეტების დადგენილებათა განსაჩივრების წესრიგი.

**თურქესტანის ამბები.**

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 19. თურქესტანის ამბების შესახებ დრ. მთავრობამ დამატებითი ცნობა მიიღო. „ტაშკენტის დეპ. საბჭოსა და მთავრობას შორის ატეხილი უთანხმოება ასეთი პირობებით იქმნა მოსპობილი: თურქესტანის დეპ. საბჭოს ულტიმატუმი მნიშვნელობას ჰკარგავს, ამბოხებაში მონაწილე პირთა და სამხ. ნაწილთა ხელშეუხებლობა უზრუნველყოფილია, პოლკ. კორიოვიჩენკოს უნდა გაეგზავნოს დეპეშა, ასლი კერენსკის, რომ თურქესტანში სიწყნარე ჩამოვარდა, ამიტომ დამსჯელი რაზმის გამოგზავნა საჭირო აღარ არის, დეპ. საბჭოს აღმ. კომიტეტი პირობას სდებს, რომ მშვიდობიანობის ჩამოგდებას ხელს შეუწყობს“. შესდგა 4 პირისგან შერეული კომისია. მაგრამ ნალივკინი და შტაბის უფროსი მაკეევი ჯარის კაცებმა ქუჩაში დაიჭირეს და რამდენიმე საათის შემდეგ გაანთავისუფლეს. აღმ. კომიტეტმა ძალით დაიპყრო შტაბის სტამბა და თურქესტანის კომიტეტის საწინააღმდეგო მოწოდება გამოუშვა. ნალივკინი მეამბოხეთ დამსჯელი რაზმით დაემუქრა. კომისიამ მოწოდება გამოუშვა, შეთანხმების ძალაში დასარჩენად საჭიროა სიწყნარე ჩამოვარდესო. საოლქო საბჭოს წევრები სოფ. სკობელევში დაიმალნენ. თურქესტანის საბჭოების უმრავლესობა დრ. მთავრობის მომხრეა.

**დამფუძნებელ კრების არჩევნისთვის**

**პეტროგრადი.** ენკ. 20. დამფუძნებელ კრებისთვის საარჩევნო სიების შესადგენათ უკანასკნელი ვადა ენკ. 23-ია. პეტროგრადში უკვე დაიწყო საარჩევნო სიების შედგენა. მუშავდება ჯარსა და ფლოტში არჩევნის წესდება.

**ყაზახთა წარმომადგენლები ვერხოვსკისთან**

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 21. სამხედრო მინისტრმა ვერხოვსკიმ თურქესთანში მომხდარ ამბების გამო სალაპარაკოდ ყაზახთა წარმომადგენლები მიიწვია. სამხედრო მინისტრს დონის ერთ ერთ ბრიგადისთვის თურქესტანში ამბოხების ჩასაქრობად წასვლა უბრძანებია, მაგრამ ყაზახებს უარი განუცხადებიათ. გავრიილოვმა ამაზე უპასუხა: პეტროგრადში ბოლშევიკების დასამშვიდებლად რომ ყაზახობა გაიგზავნა, მათ მეამბოხეობა დასწამეს ამიტომ ყაზახობა ეხლა კატეგორიულ რარს აცხადებს ვისმეს დასამშვიდებლად წავიდესო. ვერხოვსკის კითხვაზე, დონში ყაზახთა ორი დივიზია რად იმყოფებაო, გავრილოვმა უპასუხა: ისინი დედების, დების, ქალიშვილების დასაცველად იდგებიან, ვიდრე ომი არ გათავდება. დასასრულ გავრილოვმა განაცხადა, რომ მეტად სასურველია, რომ ყველა ფრონტის ყაზახთა ყრილობის კიევში მალე მოწვევა ორენბურგის ჯარის წარმომადგენლმა სამხედრო სამინისტროსთან ყაზახთა წარმომადგენლობითი ორგანოს დაარსება მოითხოვა.

**თურქესტანის ამბები.**

**პეტროგრადი.** 21. დრ. მთავრობას ატყობინებენ: ტაშკენტში მოვიდა ყაზახთა [illegible] ქალაქში განათება არ არის. გამოცხადდა [illegible] ყრეს შტაბის სტამბა და დააყენეს ყარაულები სახელმწიფო ბანკთან, ელექტრ. სადგურზე და ტელეგრაფზე. საბჭოს აღმასრ. კომ. საბჭოს დემაგოგიურ და ანარქიულ ხელმძღვანელობას უწევს. 1 და 2 პოლკი აქტიურად არ გამოსულა ხალხი კაზაკებს ტაშით და „ვაშა“-თი შეხვდა. თურქესტანის რკინის გზის მოსამსახურეთა კავშირმა გაფიცვა უარჰყო, რადგანაც ამ შემთხვევაში ქალაქს შიმშილი მოელის. დეპ. საბჭო დამსჯელი რაზმის ქალაქიდან გაყვანას მოითხოვს, მაგრამ იმედი არა აქვთ, რომ ამის შემდეგ სიწყნარე ჩამოვარდეს. პოგრომები მოსალოდნელი არ არის. ღვინის საწყობებთან ყარაულები დგანან. 1 და მე-2-ე პოლკებმა ჩამოსულ კაზაკებს ალყა შემოარტყეს და არწმუნებდნენ უკან დაბრუნებულიყვნენ, მაგრამ ვერა გააწყეს-რა.

# უკანასკნელი დეპეშები.

ოდესაში მეზღვაურებს 27 ენკენისთვისათვის გაფიცვა გადაუწყვეტია, თუ მატერიალურ მოთხოვნილებებს არ დააკმაყოფილებენ.

—

შინაგან საქმეთა სამინისტრო განკარგულებით კომისარები ვერ იმსახურებენ სხვა დაწესებულებებში. თუ ისინი გარეშე სამსახურს ვერ დასტოვებენ, წინადადება ეძლევათ კომისრობას თავი დაანებონ და მათ ადგილებზე სხვა უნდა იქნეს დანიშნული.

—

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ყოველი ხარისხის მილიციონერის სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლება მოითხოვა დროებითი მთავრობისაგან.

—

ბაქოში ცეცხლის გაჩენის მიზეზების გამოსარკვევათ საგანგებო საგამომძიებლო კომისია არის შედგენილი. ცეცხლი. ჩაქრობილია.

—

ახალ ბუხარაში დემოკრატიულმა დაწესებულებებმა რკინის გზის მოსამსახურეთა გაფიცვის მხარის დაჭერა დაადგინეს.

—

22 ენკენისთვეს პეტროგრადში დროებითი მთავრობის და დემოკრატიული თათბირის წევრების მოსკოვის სამრეწველო განყოფილების თათბირი შესდგა. თათბირი საღამოს 5 საათზე გაიხსნა და მთელი ღამე გაგრძელდა. დაესწრენ, დროებითი მთავრობის წევრებს გარდა, ჩხეიძე, წერეთელი, ავქსენტიევი, დუშეჩკინი, მოსკოვის ქალაქის მოურავი, პეტროგრადის თავი და სხვები. თათბირი კერენსკის სიტყვით გაიხსნა, რომელმაც სხვა და სხვა ჯგუფს შეთანხმებულ მოქმედებისაკენ მოუწოდა.

—

ილიოდორის თანამოაზრეებს გამომძიებელი კომისიის დადგენილებით ჩვენებს ჩამოართმევენ ილიოდორის მოქმედებებზე ცარიცინში ყოფნის დროს.

—

ვლადიკავკაზის რკინის გზის კომიტეტმა დაადგინა სთხოვოს მოსამსახურეთ, რომ თუ მათ განძრახული აქვსთ გაფიცვა, 1 ოქტომბრისთვის გადადვან, რათა კარგათ გაეცნოს კომიტეტი ამ საკითხს და შესაფერი ზომები მიიღოს.

—

ორენბურგში გაიხსნა სამხედრო წრე თავჯდომარეთ მასწავლებელი კაშკაკი რიკოშტუნია არჩეული. საპატიო თავმჯდომარეთ ოოენბურგსკი და დუტოვი. უკვე 170 კაცი არის წრეში დელეგატებათ. გენერალი მალცევი წრეს სიტყვით მიესალმა.

—

პეტროგრადში ქალალდების ფაბრიკების მოსამსახურენი ეკონომიურ ნიადაგზე გაიფიცნენ. ეს გაფიცვა ხიფათს უმზადებს დამფუძნებელი კრების მოწვევას, რადგან ქაღალდი თითქმის მხოლოთ გაფიცულ ფაბრიკებში მზადდება.

—

დროებითმა მთავრობამ დამფუძნებელი კრების მოსაწვევად 6 მილიონი გადადვა.

—

მინსკის გუბერნიაში არეულობის გა-

მო ერთ სოფელში 3 კაცი მოკლეს ჯარისკაცებმა. კომიტეტის თავჯდომარე შეიპყრეს.

—

ვიატკის გუბერნიაში კერენსკის სახელობის სასწავლებელი გახსნეს.

—

კოსტრომის გუბერნიაში საერობო დაწესებულებაში წარმომადგენლებათ 46 გლეხი აირჩიეს, 17 მასწავლებელი, 5 მწერალი, 3 მღვდელი, 3 სტუდენტი, 2 ექიმი და 2 კოოპერატორი.

—

მოსკოვში რკინის გზის მოსამსახურეები 24 ენკენისთვის ღამის 12 საათიდან იფიცებიან, რადგან მოთხოვნილება არ დააკმაყოფილეს. მათი კავშირი მოითხოვს, რომ მოსამსახურეებს შორის სეპარატიული გამოსვლები არ იქნეს.

—

დროებითი მთავრობის განკარგულებით წმ. ვლადიმირის უნივერსიტეტში წელს 4 ახალი კათედრა არსდება: 3 ისტორიულ ფილოლოგიურზე: უკრაინულ ენის უკრაინულ ლიტერატურის და უკრაინულ ისტორიის ერთიც იურიდიული ფაკულტეტი დასავლეთ რუსეთის სამართლის.

—

ლონდონიდან იტყობინებიან 19 ენკენისთვეს ლია ზღვაში ირლანდიის ნაპირების მახლობლად კრეისერი „დრაკე“ ნაღმისგან დაზარალდა და ჩაიძირა. 1 ოფიცერი და 18 კაცი მოკლულია კრეისერის აფეთქებით. დანარჩენებს უშველეს. კრეისერი 14.000 ტონისა იყო.

## ახალი ამბავი.

ქუთაისი

**შაქრის კრიზისი.** სასურსათო მინისტრის თანაშემწე ბაშკიროვი ქუთაისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტს ატყობინებს, რომ მთელ სახელმწიფოში შაქრის კითხვა მეტად გამწვავებული ყოფილა. ქარხნებიდა დიდ ძალი შაქარი ყოფილა გაზიდული, მხოლოდ ჯერ ფული არ წარუდგენიათ, რის გამო მექარხნეებს სააქციზო გად სახადი არ შეაქვთ. ქარხნებში მღელვარება. მდგომარეობა აუტანელია, თუ ზომები დროზე არ იქნა მიღებული. როგორც იგივე ბაშკიროვი იტყობინება, ქუთაისის სასურსათო კომიტეტზე შაქრის ვალი ირიცხება 1,342,338 მანეთი, რაც დაუყოვნებლივ თუ არ გაიგზავნა-ქუთაისის გუბერნიისათვის შაქარი აღარ გამოიგზავნება.

**გუბერნიის კომისრის განკარგულება.** ქუთ. გუბერნიის კომისარმა მოწერილობა დაუგზავნა ყველა მაზრის კომისრებსა და ქ. ქუთაისის და ფოთის სახალხო მილიციის უფროსებს, ყურადღება ექცეს მიქცეული იმ გარემოებას, რომ ერთი ადგილიდან მეორეზე ფოსტის გადატან-გადმოტანა, ყოვლად შეუძლებელია მძარცველების მეოხებით და დანიშნონ მილიციონერები, რომელნიც თან უნდა გაყვნენ ფოსტას ერთი ადგილიდან მეორემდის.

**კომისრების უფლებანი.** გუბერნიის კომისრებისა და ამიერ კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს რწმუნებულების დადგენილებისამებრ,-გუბერნიაში ადმინისტრატიული ძალა-უფლება ენიჭება გუბერნიის კომისარს, მას ნიშნავს ამიერ კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი, მხოლოდ ანგარიშში ეწევა საზოგადოების მოსაზრებებს. მაზრის კომისარს არჩევს გუბერნიის კომისარი, მხოლოდ ამტკიცებს კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი. -რაიონის კომისრებს ირჩევს მაზრის კომიტეტი და ამტკიცებს გუბერნიის კომისარი.

**ქურდობა.** 23 ენკენისთვეს, ღამით, გოსპიტლის ქუჩაზე, ქალაქის თვითმმართველობის მდივნის დ. ავალიანის სახლიდან ბოროტგამზრახველებმა მოიპარეს ოთხი „პალტო“, ორი მოწაფისა და ორი კაცისა; წაიღეს აგრეთვე კალოშები და სხვა ნივთები. კალოშები მოსამსახურეს აღმოუჩინეს. იგი უკვე დააპატიმრეს.

**სასურსათო საწყობის გაქურდვა.** 23 ენკენისთვეს, ღამით, თბილისის ქუჩაზე, ბოროტგამზრახველებმა ქალაქის სასურსათო კომიტეტის საწყობიდან მოიპარეს 30 ვედრო სპირტი, წაიღეს სხვა ნივთებიც.

**შაქრის აღმოჩენა.** ტყეშელაშვილის და წერეთლის საკანდიტროში, გიმნაზიის ქუჩაზე აღმოაჩინეს გადამალული შაქარი. შაქრის რაოდენობა უდრის 600 ფუთს, რაც უკვე დააკავეს.

**მიტრ. ლალიძის** ხილეულობის ქარხანაში აღმოაჩინეს 150 ფუთამდე შაქარი.

**ბალახვანის ქუჩაზე** აბას სადიკოვის საკანფეტო ქარხანაში დაკავებულ იქმნა 11 ფუთი შაქარი.

**დუქნის დამტვრევა.** 24 ენკენისთვეს ბალახვანის ქუჩაზე წიქორიძის დუქანში შევიდა რამდენიმე ჯარის კაცი და პატრონს ღვინო მოსთხოვა; რადგანაც მათი მოთხოვნილება დაკმაყოფილებული არ იქნა, დაუწყეს მსხვრევა ფანჯრების მინებს. დაამსხვრიეს აგრეთვე სხვა ნივთებიც.

**ჩაით უზრუნველყოფა.** საოლქო სასურსათო გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგი არდიშვილი ეკითხება ქუთაისის გუბ. სასურსათო კომიტეტს ქუთაისის რაიონისათვის რამდენი ჩაი იქნება საჭირო.

**დამფუძნებელი კრებისათვის.** ონიდან რაჭის მაზრის კომისარი სთხოვს გუბერნიის კომისარს დააჩქარონ დამფუძნებელი კრების საარჩევნო ბარათების გაგზავნა.

**ნ. ჩიკვაიძის საქმე.** ქუთაისის გუბ. აღმასრულებელმა კომიტეტმა თანახმად ს. დიდი-ჯიხაიშის აღმასრულებელ კომიტეტის შუამდგომლობისა, დიმის უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლის ინსპექტორის ნიკოლოზ ჩიქვაიძის საქმე გადასცა გუბერნიის საგამომძიებლო კომისიას.

**ყურძენი.** სოფლებიდან ძრებით შემოტანილ ყურძნის ფასმა დაიწია. ფუთი 10—11 მანეთად იყიდება.

**ცოფიან ძაღლების დანაკბენთა დახმარება.** ამიერ კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტის კანცელარიამ გუბერნიის კომისარს გადმოუგზავნა 135 მან. 42 კაპ. ცოფიან ძაღლების მიერ დანაკბენთა ხარჯების გასასწორებლათ. ამ თანხიდან პ. იაშვილს მიეცემა 80 მ. და 34 კაპ.

**თევზის შეძენის შესახებ.** კასპიის თევზის მწარმოებელთა წარმომადგენელი ტერ-ჟავინი გუბერნიის სასურსათო კომიტეტს სთხოვს შეატყობინოს, ფიქრობს თევზეულობა პირდაპირ სხვის დამოუკიდებლათ შეიძენს თუ ამის ნებას აძლევს კერძო ვაჭრებს.

**მატყლი** საოლქო სასურსათო კომიტეტი ქუთაისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტს ატყობინებს, რომ ქუთაისის რაიონის საჭიროებისათვის გადმოგზავნილ იქნება განსაზღვრული რაოდენობა მატყლისა და სთხოვს კერძო პირებს მატყლის ყიდვა-გაყიდვის ნება აეკრძალოს.

**განკარგულება.** მილიციის უფროსმა განკარგულება გამოსცა ვაჭრების საყურადღებოთ, რომ სხვა და სხვა სანოვაგეზე ხელოვნურათ, ფასს ნუ უმატებენ.

**ქურდობა.** 24 ენკენისთვეს, ღამით პუშკინის ქუჩაზე გაქურდეს მანუილოვის სადგომი წაიღეს სხვა და სხვა ნივთები.

— 23 ენკენისთვეს მესხეთის ქუჩაზე გაქურდეს მიქაბერიძე.

**დაკარგული ბეჭედი.** იოსებ ბიქტორისძე ჩიჯავაძე გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მან სექტემბრის 23-ს, მთავარ ფოსტიდან თეთრ ხიდამდის ეტლით მიმავალმა, დაჰკარგა ოქროს რგოლის ბეჭედი, რომელსაც შიგნი გვერდით აწერია: 1 აპრილს 1915 წელს საშიკო. მპოვნელს სთხოვენ, ბეჭედი წარადგინოს ქუთაისის მაზრის კომისარის კანცელარიაში (კაზაკოვის ქუჩაზე), რისთვისაც შესაფერ ჯილდოს მიიღებს.

### თ ბ ი ლ ი ს ი.

**სრულიად საქართველოს კათოლიკოსთან** სადარბაზოთ იყვნენ და მიულოცეს: კავკასიის მხედართ-მთავარი ღენ. პრჟევალსკი, ჯარების კვარტირმეისტერი ღენ. კლემენტიევსკი, ღენ. ვას. გაბაშვილი, ბერძენთა არქიმანდრიტი პატრიაკი, მათხოჯისა და მღვიმეს დედათა მონასტრების წარმომადგენელნი და სხ. მის უწმიდესობას კათალიკოსს მრავალი მოსალოცი დეპეშები მოდის. სხვათა შორის დეპეშა მოვიდა კამენეც-პოდოლსკის ეპისკოპოზის დავითისაგან, რომელიც აგრეთვე თანხმობას აცხადებს იკისროს ურბნისის (ქალაქის) ეპარქიის ეპისკოპოსობა.

— **საინტენდანტოს საქონლის აღმოჩენა.** საგანგებო კომისიამ, რომელსაც

საჭიროა გაზეთის დამტარებლები

პირობების გაგება შეიძლება გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორაში. მისამართი: თბილისის ქ. ს. მიქელაძის სახლი.

დავალებული აქვს მონახოს ვინც სამხედრო ბეგარას გაურბიან, აღმოაჩინა ვინმე მირზოევის ქარხანაში დიდძალი ქონი და მზისუმზირისა და ბამბის ზეთი, რომელნიც საინტენდანტო უწყებას ეკუთვნის. მირზოევის ქარხანას დიდებულად ჰქონია მიწყობილი საინტენდანტოს საქონლის ყიდვა გაყიდვის საქმე. 10 ათასფუთამდე მარტო ქონი გამოუტანია საინტენდანტოს საწყობიდან. ამასთანავე აღმოჩნდა, რომ სამხედრო შტაბის დუქნის გამგე შტაბს-კაპ. იაკიმოვი ამ დუქნიდან დიდძალ საქონელს აძლევდა მალულად იმავე მირზოევის ქარხანას. იგივე ქარხანა ყალბ საბუთის ქაღალდებს ადგენდა, რომელითაც სამხედრო ბეგარისაგან ანთავისუფლებდნენ ჯარში გასაწვევთ. მირზოევის ქარხნის გამგე ყოფილა ვინმე ორჯონიკიძე, რომელიც სხვა მის ამხანაგებთან ერთად ციხეში გაგზავნეს.

— **გიორგი რომანოვის ბიბლიოთეკა.** დიდ მთავარს გიორგი ალექსანდრეს ძეს რომანოვს გარდაცვალების შემდეგ ძვირფასი ბიბლიოთეკა დარჩა, რომელშიაც იშვიათი წიგნები მოიპოვება საქართველოს კერძოდ და საერთოდ მთელი კავკასიის შესახებ. ამ ბიბლიოთეკიდან ბევრი წიგნი იკარგებოდა და იკარგება. ეხლა ამიერ კავკასიის სახალხო ცენტრს გადაუწყვეტია ფიცხელი ღონისძიება იქმნას მიღებული ბიბლიოთეკის მთლიანობის დასაცველად.

— **ტყეების დაცვა.** დღეს, ენკენისთვის 23-ს, ბორჯომს მიემგზავრებიან ამიერ კავკასიის საადგილმამულო კომისიის თავმჯდომარე არ. ფირალოვი და წევრი კომისიისა პ. გელეიშვილი, რათა ღონისძიება იხმარონ ბორჯომ აბასთუმნის ტყეების უმოწყალოდ გაჩეხვის წინააღმდეგ.

### პ რ ო ვ ი ნ ც ი ა.

**ზუგდიდ.** ხუთშაბათს სექტემბერის 28-ს ნაშუადღევის 4 საათზე ზუგდიდის უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებელში დანიშნულია მთელი ზუგდიდის მაზრის სახალხო მასწავლებელთა საზოგადო ყრილობა. (უნდა დაესწრონ ხოფის განყოფილების წევრებიც) კრებაზედ გააკეთებენ მოხსენებას დასავლეთ საქ. სახალხო მასწ. დელეგატთა ყრილობის შესახებ, შემდეგ განხილულ იქნება სახალხო სკოლების მართვა-გამგეობის სისტემა და ბოლოს მოხდება არჩევნები სახალხო სკოლების სარაიონო მეთვალყურისა (ნაცვლად სახ. ინსპექტორისა). სასურველია წევრები, რაც შეიძლება მეტი დაესწრონ.

**ქ. ზესტაფონი.** კვირას 1 ოქტომბერს დანიშნულია ზესტაფონში და ქუთაისში სახალხო მასწავლებელთა საერთო სამაზრო კრება სახალხო სკოლების სარაიონო მეთვალყურისა (ნაცვლად ინსპექტორისა) ასარჩევად. იმედია ამ საყურადღებო კრებას არ დააკლდებიან მასწავლებლები.

**ფოთი.** ფოთის სასურსათო კომიტეტმა მიიღო 14 ვაგონი პურის ფქვილი.

**ს. რონი.** როდესაც კ. დარსაძე ცოლით სახლში ბრუნდებოდა გზაზე გაძარცვეს. წაართვეს ფული და ნივთები.

**სიმინდი.** ზესტაფონის სასურსათო კომიტეტმა ანაკლიაში შეიძინა 6 ვაგონი სიმინდი.

## წ ე ს ი

**კათალიკოზის და მღვდელმთავართა მოხსენებისა ღვთისმსახურების დროს დიდ კვერექსზე:**

უწმიდესისა და უნეტარესისა პატრიარქისა, მცხეთის მთავარ ეპისკოპოსის და სრულიად საქართველოს კათალიკოზის კირიონისათვის, და მამისა ჩვენისა მაღალყოვლად უსამღვდელოესის თბილელ მიტროპოლიტის ლეონიდესთვის, პატიოსანთა მღვდელთა..... უფლისა მიმართ ვილოცოთ.

**შეგვიწყალენზე:**

მერმეცა გევედრებით უწმიდესისა და უნეტარესისა პატრიარქისა, მცხეთის მთავარეპისკოპოზის და სრულიად საქართველოჲს კათალიკოზის კირიონისთვის, და მამისა ჩვენისა მაღალ-ყოვლადუსამღვდელოესის თბილელ მიტროპოლიტის ლეონიდესათვის.......

**სიწმიდის გადმოსვენებაზე:**

უწმიდესი და უნეტარესი პატრიარქი, მთავარეპისკოპოზი მცხეთისა და სრულიად საქართველოჲს კათალიკოზი კირიონი, და მამა ჩვენი მაღალყოვლადუსამღვდელოესი თბილელი მიტროპოლიტი ლეონიდე მოიხსენოს უფალმან ღმერთმან სასუფეველსა თვისსა ყოვლადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

**შენიშვნა:** აქ სამაგალითოდ ნახსენებია თბილელი მიტროპოლიტი, სხვა ეპარქიებში, კათალიკოზის შემდეგ, მოიხსენებენ ადგილობრივ მღვდელმთავრებს.

## დასავლეთის საქართველოს მასწავლებელთა საყურადღებოთ.

ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, დასავლეთის საქართველოს სამოსწავლო უწყების კომისარნი, იძულებული ვართ მდგომარე თვის, სექტემბრის 22 რიცხვიდან თავი დავანებოთ ჩვენს თანამდებობას.

დღიდან კომისრებათ დანიშვნისა სრული შეგნებით ვემსახურებოდით ჩვენი ხალხის სწავლა-განათლების საქმეს, რომლის სიდიადეც დღეს, ჩვენი შკოლის გაეროვნულების მომენტში, განსაკუთრებით საგულისხმო და მნიშვნელოვანია.

რამდენათაც შეგვეძლო, ვებრძოდით სხვადასხვა დამაბრკოლებელ მიზეზს — და ზოგი რამ კიდეც მოვაწესრიგეთ ჩვენი ცხოვრების ამ ახალ გზაზე, და თუმცა მოსაწესრიგებელი ჯერ კიდევ საკმაოთ დარჩა, მაგრამ საპატიო მიზეზები გვაიძულებს მოუთავებლათ დავსტოვოთ ჩვენმიერ ნაწარმოები საქმე.

ქვემოთ მოყვანილის ჩვენი წერილიდან საზოგადოება გაიგებს მიზეზებს, რომელიც გვაიძულებს სამსახურს თავი დავანებოთ:

**ქუთაისის საგუბერნიო აღსასრულებელ კომიტეტს.**

მდგომარე წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში ქუთაისში მომხდარი კრება დასავლეთის ქართველ სახალხო მასწავლებელთა დელეგატებისა, ჩვენ კანონიერათ მიგვაჩნდა და დღესაც კანონიერათ მიგვაჩნია. თუმცა დელეგატთა უმცირესობამ ეს კრება მიატოვა, მაგრამ უმცირესობის წინააღმდეგობა—და ისიც უსაფუძვლოთ ჩადენილი -უმრავლესობის დადგენილებას ვერ დაარღვევს, და ამიტომაც ჩვენ ზნეობრივათ ვალდებულათ ვსთვლიდით ჩვენს თავს ამ კრების დადგენილებანი შეგვესრულებია, რადგან რევოლუციის დროს ასეთის მნიშვნელოვანი კოლექტივების ხმა რევოლუციის მომხრეთათვის კანონიერათ უნდა ჩაითვალოს, ვითარცა „ხმა ერისა“.

სწორეთ ამიტომ იყო, რომ, თანახმათ მათი დადგენილებისა, ჩვენ გამოვაცხადეთ: თუ 20 სექტემბრამდი თავისუფალ სამასწავლებლო ადგილებზე კანდიდატების დანიშვნა ქვემოდან არ მოხდა (ე. ი. შკოლის მასწავლებელთა და ხალხის წარმომადგენელთაგან), იმ შემთხვევაში 20 სექტემბერს შემდეგ მათ დანიშვნას თვით კომისარიატი იკისრებს, სახალხო მასწავლებელთა დელეგატების მიერ არჩეულს „აღმასრულებელ კომიტეტთან“ შეთანხმებითთქო.

თანახმათ ამ განცხადებისა, 21 სექტემბერს ჩვენ შევიკრიბეთ სახალხო შკოლების დირექციის ბინაზე, სადაც მოწვეული გვყავდა აგრეთვე ზემო აღნიშნული „აღმასრულებელი კომიტეტის“ წევრები, და გვეწადა გაგვეხილა მასწავლებელთა დანიშვნისა და გადაყვან-გადმოყვანის თხოვნები. დირექციაში დაგვხვდა თქვენი მოწერილობა, რომლითაც თქვენ გვიკრძალავთ თავისუფალ ვაკანსიებზე მასწავლებელთა დანიშვნას და გვაცნობებთ, რომ ეს საქმე ეკისრებათ „გუბერნიის საშკოლო კომიტეტებს“-ო.

ვინაიდან თქვენ-მიერ გამოცხადებული წესი ინსპექტორებისა და მასწავლებელთა არჩევნისა, იმ შედგენილობით, რომელითაც იგი თქვენ განზრახული გაქვთ, ჩვენ არ მიგვაჩნია არც დემოკრატიულად და არც სამართლიანობის გამომხატველათ, თანაც ეს წესი ეწინააღმდეგება სახალხო მასწავლებელთა უმრავლესობის სურვილსა და მათ მიერ შემუშავებულს მართველობის წესრიგს, რომელსაც ჩვენც ვემხრობით, ამიტომ შეუძლებლათ მიგვაჩნია თქვენს განკარგულებას დაემორჩილოთ — და იძულებული ვართ სამსახურს თავი დავანებოთ.

ამასთანავე არ შეგვიძლია, არ გამოვსთქვათ ჩვენი ღრმა უკმაყოფილება და პროტესტი იმის გამო, რომ ზემორე აღნიშნულ **აკრძალვას** იმავე დროს ზედ დაერთო თქვენი განკარგულება კომისარიატში ჩვენს ამხანაგათ იმისთანა პირის დანიშვნისა (ამბროსი პავლეს ძის სვანაძისა) რომლის უტაქტო გამოსვლებიც სხვადასხვა შემთხვევის გამო არა ერთხელ იყო ჩვენს პრესაში აღნიშნული, რომელმაც თვით თქვენს თვალწინაც, 18 სექტემბრის მრავალრიცხოვანი კრების წინაშე თავისი უტაქტობით მთელი კრების ყურადღება მიიქცია — და რომელთანაც, მაშასადამე, ყველა ამ მიზეზის გამო, ჩვენ შეგუება არ შეგვეძლო“.

ი. ოცხელი.
ს. ხუნდაძე.

ქუთაისი, 22 სექტემბერს.

## ეროვნულ საპედაგოგიო საბჭოს სხდომა.

ენკენისთვის 21-ს მოხდა ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტთან არსებულ ქართულ ეროვნულ საპედაგოგიო საბჭოს სხდომა. თავმჯდომარეობდა სამოსწავლო ოლქის კომისარი ლ. ნათაძე. საბჭომ, უპირველეს ყოვლისა, ითათბირა თავისი უფლებების შესახებ, ე. ი. საბჭოს დადგენილებანი სავალდებულო იქნება თუ არა მთავრობისა და სკოლების ადმინისტრაციისათვის. ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა დროებით გადაიდო, რადგან საჭიროდ იქნა ცნობილი, რომ ინტერპარტიულმა საბჭომ ჯერ-ჯერობით უნდა შეავსოს საპედაგოგიო საბჭო და შემდეგ შუამდგომლობა აღძრას შესახებ იმისა, რომ ეს უკანასკნელი სრულუფლებიანი იყვესო. შემდეგ კრებამ ითათბირა სკოლის ნაციონალიზაციის შესახებ. ამაზე ნათაძემ ვრცელი მოხსენება წაიკითხა და კრებას გააცნო ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის დადგენილება. მოხსენებიდან და ამიერ-კავკ. საგ. კომიტეტის დადგენილებიდან გამოირკვა, რომ სკოლის ნაციონალიზაცია დაწყებულია ყველა ტიპის პირველდაწყებით სასწავლებლებში უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებლების პირველ კლასებში, გიმნაზიის მოსამზადებელ კლასებში და სადაც მოსახერხებელია, უმაღლეს კლასებშიაც, მაგრამ მხოლოდ მშობლების თანხმობით.

ამ უკანასკნელმა სიტყვამ დიდი კამათი გამოიწვია. მთელი საბჭო წინააღმდეგი იყო კომიტეტის ასეთი დადგენილების და მოითხოვა, რომ ქართველი ბავშვები მშობლებმა არ შეიყვანონ რუსულ განყოფილებაში. ამასთან ისიც ირკვევა, რომ ბევრს მშობლებს თხოვნა შეუტანიათ, ჩვენს შვილებს რუსულ განყოფილებაში ასწავლეთო, საბჭომ დაადგინა, მოწოდებები დაიბეჭდოს გაზეთებში, რომ მშობლებმა ასეთი სამარცხვინო ნაბიჯი არ გადადგან. მოწოდების შედგენა მიენდო დ. კარიჭაშვილს და დ. ყიფშიძეს. მოწოდებები უნდა დაიბეჭდოს ქართულს და რუსულს გაზეთებში. საბჭოს წევრებმა გაინაწილეს გიმნაზიები და თითოეულმა მათგანმა უნდა განუმარტოს მშობლებს მნიშვნელობა მშობლიურ ენაზე სწავლების. კრება დასრულდა ღამის 12 საათზე. შემდეგი კრება დანიშნულია მომავალ ოთხშაბათს, ენკენისთვის 27-ს, პროგრამების შესადგენად, სახელმძღვანელოების გადასათვალიერებლად და სხვ.

## სკოლის ნაციონალიზაციის წესი.

### I. საზოგადო წესები.

1. სამთავრო ეროვნულ სკოლებში სწავლა ლიტერატურულ დედა-ენაზე უნდა სწარმოებდეს; მცხოვრებლები თვით გამოარკვევენ სწავლის ენას იმ შემთხვევაში თუ ყველა კმაყოფილი არ იქნება ერთ-ერთ ენაზე სწავლებისა.

2. ბავშვების და მოწაფეების ეროვნულ

განყოფილებებში გამწესება და გადაჯგუფება მშობელთა თანხმობით უნდა ხდებოდეს.

3. ეროვნულ კლასებში და განყოფილებებში ყველა საგნების სწავლა ეროვნულ სამოსწავლო პროგრამების მიხედვით უნდა სწარმოებდეს. ამ პროგრამებს იმუშავებს და ამტკიცებს ეროვნულ სკოლათა ცენტრალი კომიტეტი.

4. იმ კლასებში, რომლებშიც ნაციონალიზაცია არ შედის—ეროვნულ საგნების სწავლა უნდა გაძლიერდეს. ამა თუ იმ ეროვნებათა მოწაფეებისათვის თავთავიანთ ეროვნულ საგნების სწავლა სავალდებულოა. სარწმუნოების სწავლა დედაენაზე უნდა სწარმოებდეს.

5. ეროვნულ საგნებად უნდა ჩაითვალოს: დედა-ენა, ეროვნული ლიტერატურა და მისი ისტორია, ერის ისტორია და გეოგრაფია.

6. სამოსწავლო დაწესებულებათა ეროვნულ განყოფილების მასწავლებელთა კოლეგია სამოსწავლო საკითხების გადაწყვეტაში თავისუფალია.

7. ეროვნულ საგნების და სარწმუნოების მასწავლებლები უფლებებით სხვა საგნების შტატის მასწავლებლებს უთანასწორდებიან. ეროვნულ საგნების მასწავლებელთაც ნამსახური დრო პენსიის და ხუთი წლის შემდეგ ჯამაგირის მოსამატებლად—ეთვლებათ.

8. როგორც შერეულ, ისე ეროვნულ სასწავლებლებში მასწავლებლებლად და ადმინისტრატიულ პერსონალის პირებად ყოფნა ყველა ეროვნებათა პირებს შეუძლიანთ.

9. ახალ სკოლების გახსნის დროს ცალკე ეროვნება მცხოვრებლების რაოდენობის და სკოლების რიცხვის პროპორციულ შეფარდების პრინციპით უნდა იხელმძღვანელონ.

**II. პირველ დაწყებით დაბალ სასწავლებლების ნაციონალიზაცია.**

10. პირველ დაწყებით ერთკლასიან სასწავლებლების ყველა განყოფილებაში და ორკლასიანის პირველ კლასის განყოფილებებში სწავლა სამოსწავლო წლის დაწყობიდანვე დედა-ენაზე უნდა სწარმოებდეს.

11. ერთგვარ მცხოვრებთა ადგილებში, თუ ადგილობრივი ორგანიზაციები საჭიროდ სცნობენ, რომ სწავლა ორკლასიან პირველ დაწყებით სასწავლებლის მეორე კლასშიც დედა-ენაზე უნდა სწარმოებდეს—ამის განხორციელება საოლქო კომისარიატის დამტკიცებით უნდა მოხდეს.

12. შერეულ მცხოვრებთა ადგილებში ეროვნულ უმცირესობის მოსწავლეთათვის ახალი პირველ დაწყებითი სკოლები უნდა გაიხსნას, ან და არსებულ სასწავლებლებში მათთვის პარალელური განყოფილებები უნდა დაარსდეს, მხოლოდ ამისათვის საჭიროა, რომ ერთკლასიან სასწავლებლისთვის 20 მოწაფემ, ორკლასიანისთვის—30 და განყოფილებისათვის 7 მოწაფემ მაინც მოიყაროს თავი.

13. თუ ეროვნულ უმცირესობის მოწაფეთა რიცხვი მე-12-ე მუხლში აღნიშნულ რიცხვზე ნაკლებია, მაშინ მახლობელ სასწავლებლებში იმა ეროვნულ უმცირესობის მოწაფეთა გადაჯგუფება უნდა მოხდეს და მათთვის (შეძლების დაგვარად) ახალი სასწავლებლები თუ პარალელური განყოფილებები უნდა დაარსდეს. ახალი სასწავლებელი თუ განყოფილებები 5 ვერსზე მეტად არ უნდა იყოს დაშორებული მოწაფეთაგან, ხოლო თუ რკ.-ნის გზა უდგება—20 ვერსზე.

14. თუ შესაძლებელი შეიქმნა ახალ სასწავლებლის ანდა პარალელურ განყოფილების დაარსება ეროვნულს უმცირესობის მოწაფეთათვის თუ ისინი 10 ნაკლები არ არიან სასწავლებელში—მათთვის აუცილებლივ საგანგებო სასწავლებელი უნდა იქმნეს მიწვეული. ერთ კლასიან სასწავლებლისათვის ერთი, ორკლასიანისათვის 3.

15. იმ რაიონებში, სადაც ეროვნულ უმცირესობის მოწაფეთა რიცხვი მეტად ნაკლებია ზემო მუხლებში აღნიშნულ რიცხვზე—მშობლებს არსებულ სასწავლებლებში შეუძლიანთ პარალელურ განყოფილებათა გახსნა ანდა საგანგებო მასწავლებლის მიწვევა მხოლოდ თავიანთ ხარჯზე.

16. ენოვნულ პირველ დაწყებით სასწავლებლებში რუსულ ენის სწავლება [illegible] ეროვნულ ოთხ წლამდის სკოლათა ცენტრალი კომიტეტების განკარგულებაზეა დამოკიდებული.

**შენიშვნა.** ვინც ამ სამოსწავლო წლის დაწყებამდე რუსულს სწავლობდა, ის კვლავ განაგრძობს სწავლას.

**III უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებლების ნაციონალიზაცია.**

17. უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებლების პირველ კლასში ამ სამოსწავლო წლიდან სწავლა დედა ენაზე უნდა სწარმოებდეს.

18. ადგილობრივ სასკოლო კომიტეტების შუამდგომლობით საოლქო კომისარიატს უფლება ეძლევა ნაციონალიზაცია დანარჩენ კლასებშიც შეიტანოს, თუ ამას ფინანსები ხელს შეუწყობენ და ეროვნულ უმცირესობის მოწაფეთა ინტერესებსაც დაიცავენ.

19. ეროვნულ უმცირესობის მოწაფეთათვის პარალელური განყოფილებები გაიხსნება, თუ თითო განყოფილებისათვის ათ-ათი მოწაფე მოიყრის თავს.

20. თუ უმცირესობათა ინტერესების დაცვა ფინანსიურ მიზეზებით შეუძლებელი ხდება—ასეთ კლასის ნაციონალიზაცია სხვა დროისათვის იდება.

21. პარალელური განყოფილება 10-ზე ნაკლებ ეროვნულ უმცირესობის მოწაფეთათვისაც გაიხსნება, თუ სასწავლებლის შეძლება ამას აიტანს.

22. რუსული ენის სწავლა 1 კლასიდან იწყება.

**შენიშვნა.** ვინც ამ სამოსწავლო წლამდის რუსულს სწავლობდა—ის კვლავ განაგრძობს მის სწავლას.

**IV საშუალო სასწავლებლების ნაციონალიზაცია.**

23. საშუალო სასწავლებლების ნაციონალიზაციის დროს მხედველობაში უნდა იქონიონ არა მარტო მოწაფეთა შემადგენლობა არამედ იმ ცხოვრებთა ეროვნული შემადგენლობა, რომელსაც ესა თუ ის სასწავლებელი ემსახურება.

24. ეროვნულ უმცირესობის მოწაფეთათვის პარალელური განყოფილება გაიხსნება იმ შემთხვევაში, თუ თითო განყოფილებისთვის ათ-ათი მოწაფე მოიყრის თავს. პარალელური განყოფილება ათზე ნაკლებ მოწაფეთათვისაც გაიხსნება, თუ ამას სასწავლებლის შეძლება აიტანს.

25. თუ უმცირესობათა ინტერესების დაცვა ფინანსიურ მიზეზებით შეუძლებელი ხდება ასეთ კლასის ნაციონალიზაცია სხვა დროისთვის გადაიდება.

26. ამ სასწავლო წლიდან საზოგადო განათლების საშუალო სასწავლებლებში მხოლოდ უმცროს განყოფილებისა და მოსამზადებელ კლასის ნაციონალიზაცია მოხდება.

თუ სასწავლებელში მხოლოდ ერთი განყოფილებაა (უმფროსი) მისი ნაციონალიზაცია ხდება.

27. საოლქო კომისარიატს უფლება ეძლევა, საგანგებო კომიტეტების 130 მუხლზე შუამდგომლობით ნაციონალიზაცია დანარჩენ კლასებშიც შეიტანოს, თუ ფინანსები ნებას იძლევიან და ეროვნულ უმცირესობის მოწაფეთა ინტერესებს დაიცავენ.

28. საზოგადო განათლების საშუალო სასწავლებლებში რუსულ ენის სწავლა პირველ კლასიდან იწყება.

**შენიშვნა.** ვინც ამ სამოსწავლო წლამდის რუსულს სწავლობდა, იგი მის სწავლას კვლავ განაგრძობს.

**V. ნაციონალიზაციის გამახორციელებელი ორგანოები.**

29. საერთო ხელმძღვანელობა და ზომების დამტკიცება ყველა სასწავლებლებში ნაციონალიზაციის განსახორციელებლად საოლქო კომისარიატს ეკუთვნის.

30. (ქალთა და ვაჟთა) საზოგადო განათლების საშუალო სასწავლებლებში ნაციონალიზაციის პრაქტიკული განხორციელება—ევალება სკოლებში ნაციონალიზაციის შესატანად შემდგარ საგანგებო კომიტეტებს. კომიტეტი სდგება თვითეულ ქალაქში. მასში შედიან 10 წარმომადგენელი ქალაქის თვითმართველობიდან, 3 ადგილობრივ მასწავლებელთა კავშირიდან. საგუბერნიო ქალაქებში 3 წარმომადგენელი საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტებიდან, სამაზრო ქალაქებში 3 წარმომადგენელი სამაზრო აღმ. კომიტეტიდან. კომიტეტის სხდომაში მონაწილეობას იღებენ აგრეთვე ორ-ორი წარმომადგენელი პედაგოგთა კორპორაციიდან და მშობელთა წრიდან გადამწყვეტ ხმის უფლებით. სადაც თვითმართველობის ორგანოები არ არსებობენ—ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენელს არსებულ აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენელი სცვლის.

კომიტეტის შემადგენლობაში მიიწვევენ ყველა იმ ეროვნებათა წარმომადგენელს, რომელთაც კომიტეტში წარმომადგენელი არ ეყოლებათ.

31. საგანგებო კომიტეტები ადგენენ საზოგადო განათლების საშუალო სასწავლებელთა ნაციონალიზაციის პროექტს და საოლქო კომისარიატს უდგენენ დასამტკიცებლად. კომიტეტის პროტოკოლებს უდგენენ კომისარიატს. პროტოკოლებში უნდა აღნიშნული იყოს, როგორც უმრავლესობის, ისე უმცირესობის მოსაზრებანი. კომიტეტების ცალკე წევრებს თავიანთ მოსაზრებათა წარდგენის უფლება აქვთ.

32. უმაღლეს და დაბალ პირველ დაწყებით სასწავლებლების ნაციონალიზაციის პრაქტიკული განხორციელება. იმ ქალაქებში, სადაც საშუალო სასწავლებლები არსებობს, ევალება სკოლებში ნაციონალიზაციის შესატანად შემდგარ საგანგებო კომიტეტებს. კომიტეტებში შედიან უმაღლეს და დაბალ პირველ დაწყებით სასწავლებლების უფროსები გადამწყვეტი ხმის უფლებით.

33. უმაღლეს და დაბალ პირველ დაწყებით სასწავლებლების ნაციონალიზაციის პრაქტიკული განხორციელება. იმ ქალაქებში სადაც საშუალო სასწავლებლები არ არსებობს—ევალება სკოლებში ნაციონალიზაციის შესატანად შემდგარ საოლქო ან საგუბერნიო კომიტეტებს.

34. მე-32 და მე-33 მუხლებში აღნიშნულ სასწავლებლების ნაციონალიზაციის პროექტებს, ხსენებული კომიტეტები შედგენისამებრ დასამტკიცებლად საოლქო კომისარიატს უდგენენ.

ერთგვარ ეროვნების მცხოვრებლებით დასახლებულ ქალაქებში კომისარიატს უფლება აქვს უსაშუალოდ გასცეს განკარგულება სკოლის ნაციონალიზაციის შესახებ.

ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარე **ვ. ა. ხარლამოვი.**

კომიტეტის წევრები მ. ი. პაპაჯანოვი, მ. ი. ჯაფაროვი, გ. ვ. გუტონი.

1917 წ. ენკ. 10.

# საერობო რეფორმა კავკასიაში

დროებითი მთავრობის განკარგულებით მარტში შინაგან სამინისტროსთან შესდგა საგანგებო თათბირი, რომელსაც დაევალა ადგილობრივ თვითმართველობათა შესახებ პროექტების შემუშავება. ამ თათბირმა თავის წრიდან გამოყო კომისია, რომელსაც უნდა შეემუშავებია პროექტები ისეთი ადგილებისათვის, სადაც დღემდე არ იყო შემოღებული ერობა. კომისიის შემადგენლობა უნდა შევსებულიყო პოლიტიკური, ნაციონალური და ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლებით. ვინაიდან ამიერკავკასიაში ერობის შემოღება საჩქარო საქმეთ სცნეს, სამინისტრომაც პირველად ამ საქმეს მოჰკიდა ხელი. ყოველ მხრივ საკითხის გარჩევა ზემოხსენებულ კომისიას მიენდო, სადაც მოწვეულ იქნენ ამიერკავკასიის პოლიტიკური და ნაციონალური ორგანიზაციების წარმომადგენელნი, რომელნიც პეტროგრადში იყვნენ შეკრებილი საგანგებო თათბირზე დამფუძნებელი კრების წესების შესამუშავებლად. ამათ გარდა სამინისტრომ სხვა მცოდნე პირებიც მიიწვია. კომისია მუშაობას შეუდგა 22 ივლისს, რაც ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტს დეპეშით ეცნობა, უკეთუ კომიტეტი საჭიროდ დაინახავდა მონაწილეობა მიეღო მუშაობაში. მთელი რიგი კრებების შემდეგ გამომუშავებულ იქმნა მთავარი დებულებანი ერობისა ამიერკავკასიისათვის, რომელსაც დაუკავშირდა ერთი საკითხის მეტად მტკივანი ადგილი, რომელიც შეეხება ამიერ-კავკასიის გუბერნიების და მაზრების გადამიჯვნას, ვინაიდან ადგილობრივი პირობების გამო ამიერკავკასიის ერობის საკითხი რთული საქმეა. სამინისტროს მიერ შემუშავებული პროექტი გადაეცა განსახილველად ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტს ადგილობრივ პირობათა მიხედვით და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად გადასამუშავებლად, უკეთუ კომიტეტი ამას საჭიროდ დაინახავდა. სამინისტროს მიერ შემუშავებული პროექტის უმთავრესი დებულებანი ასეთია.

1. ადგილობრივი ცხოვრების საზოგადოებრივი ხასიათის საქმეები და მათი მართვა-გამგეობა ერობათა ხელში რჩება, რომელიც ამ სფეროში მოქმედობს დამოუკიდებლად.

2. ერობათა უფლება და მოვალეობა განისაზღვრება იმ წესებით, რომლის თანახმად შიდა გუბერნიებში არსებული ერობანი მოქმედებენ.

3. ერობათა კომპეტენცია გაფართოვებული იქნება ადგილობრივი პირობების მიხედვით (მაგ. წყლის საქმეთა გამგებლობა).

4. ერობა იქნება საგუბერნიო ან საოლქო, სამაზრო და სასოფლო.

5 საგუბერნიო და სამაზრო ერობანი არსდებიან ახალ ადმინისტრატიულ საზღვრებში, (იხ. საგანგებო აზრი ადმინისტრატიული გადამიჯვნის შესახებ).

6. წვრილ საერობო ერთეულს საფუძვლათ დაედება ერთი ეროვნებით დასახლებული ოლქი, რამდენათაც ეს შესაძლებელი იქნება. მცხოვრებთა რიცხვი უნდა აღწევდეს 10-დან 15 ათასამდე. სასურველია არსებული სოფლის საზოგადოებათა არ დაყოფა.

7. წვრილ საერობო ერთეულებათ ტერიტორიის დანაწილება და აგრეთვე სხვა წინასწარი მუშაობის მოსამზადებლათ მაზრაში ერობის შემოღების შესახებ—ყოველ მაზრაში სდგება საგანგებო კომისია. საკითხის საბოლოოთ გადაჭრა სასოფლო ერობათა შესახებ ენდობა მომავალ საერობო კრებებს.

8. ერობის არჩევნები ხდება პროპორციონალური ხმის მიცემის სისტემით, ხმის მიცემა უნდა მოხდეს წერილობით. ამ წესითვე ხდება არჩევნები სასოფლო ერობისა. იმ ადგილებში, სადაც მომთაბარე ხალხი ცხოვრობს, არჩევნები ხდება იმ ალაგას, სადაც ეს ხალხი არჩევნების დროს იქნება დაბინავებული.

9. რადგან ერობის აღმასრულებელ ორგანოში უზრუნველყოფილ იქნას სხვადასხვა საზოგადოებრივი, პოლიტიკური თუ ეროვნული ჯგუფების წარმომადგენლობა, დასაშვებია უმცირესობის სურვილის თანახმად, პროპორციონალური წარმომადგენლობა, უკეთუ ეს უმცირესობა ხუთ კაცზე ნაკლები არ არის.

10. ამიერ კავკასიის ყველა საგუბერნიო ქალაქები უნდა გამოყოფილ იქნან დამოუკიდებელ საერობო ერთეულებათ, რომელთაც მიენიჭება სამაზრო ერობათა უფლებანი. ყველა სამაზრო ქალაქები და აგრეთვე მაზრაში მდებარე ქალაქები, თუნდაც ამ უკანასკნელებში დიდძალი მცხოვრებნი ცხოვრობდენ, სამაზრო საერობო ერთეულებათ არ გამოიყოფებიან, ვინაიდან ასეთი საშუალებით შესაძლოა ამ ქალაქთა და მაზრის მცხოვრებთა შორის არსებული ეკონომიური და სამეურნეო კავშირი დაირღვეს.

11. ბაქოს სამრეწველო რაიონი დამოუკიდებელ საერობო ერთეულად არ გამოიყოფა და არც შეიძლება ქალაქ ბაქოს შეუერთდენ ეს რაიონები, ვინაიდან, ასეთ შემთხვევაში, კითხვა დაისმებოდა ამ რაიონში საქალაქო თვითმართველობის შემოღების შესახებ, რაიც ერობის შემოღების საქმეს გააჭიანურებდა. ამასთან, მუდმივ მიჯნის უქონლობა საწარმოვო რაიონებისა მაზრისაგან და მაზრის ფინანსიური ხელმოკლეობა საწარმოვო რაიონების გამოკლებით, გვიკარნახებს საწარმოვო რაიონების დამოუკიდებულ საერობო ერთეულებათ არ გამოყოფვას.

რაც შეეხება ამიერ-კავკასიის საგუბერნიო და სამაზრო გადამიჯვნას, ამ საკითხის შესამუშავებლათ კომისიამ შეადგინა მცირე კომისია. სამინისტრომ საჭიროთ დაინახა კომისიის მუშაობით ესარგებლა და საჩქარო წესით შეიმუშავა ასეთი გადამიჯვნის პროექტი და 25 ივლისს წარგზავნა ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტს თავისი აზრის გამოსათქმელად.

ამ ჟამათ სამინისტრო ამუშავებს პროექტს, რომელიც შეეხება კავკასიაში წყლების საქმეს.

ამას გარდა, სახელმწიფო სახალხო განათლების კომიტეტში წინასწარ განსახილველად სამინისტრომ საკითხი აღძრა, რომელიც შეეხება ერობის შემოღებით გამოწვეულ საშკოლო საქმის ახალ ნიადაგზე დაყენებას და ახალ დაარსებულ საერობო დაწესებულებებში ადგილობრივ ენების ხმარებას.

# საადგილმამულო კომიტეტი

მიმდინარე წლის მარიამობისთვის დასაწყისში დაარსებულ თბილისის საგუბერნიო საადგ.-მამულო კომიტეტსა და თბ. სამაზრ. საადგ.-მამ. გამგეობის გარდა, ამიერ-კავკ. საგან. კომიტეტის ივნისის 21 დადგენილების თანხმად წელს დაარსდება სამაზრო საადგილ მამულო კომიტეტები და გამგეობანი ახალქალაქში, ახალციხეში, თიანეთში, თელავში, სიღნაღში და აგრეთვე სარაიონო საად.-მამ. კომიტეტები: ახალქალაქის მაზრაში—ბაკურიანისა, ახალციხის მაზრაში—აწყურის, კობლიანის [illegible] დაარსებული მსგავსი დაწესებულებანი.

საგუბერნიო საადგილ-მამულო კომიტეტის განკარგულებაში იქნება: 1) გუბერნიაში არსებულ სახელმწ. მამულების თვალყურის დევნება; 2) ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვისა და სათანადოთ გამოყენების თვალყურის დევნება, (მადნეულება, ტყე, მეთევზეობა და სხვა); 3) ძირითად საადგილ მამულო რეფორმის მასალების შეკრება მიწადმფლობელობის შესახებ; მასალები შეთანხმებული იქნება მთავარ და საოლქო საადგ.-მამულო კომიტეტების პროგრამასთან. 4) კომიტეტს შეუძლია მთავრობის კანონდებულებათა და დადგენილებათა ფარგლებში შეადგინოს სავალდებულო დადგენილებანი, მიწის იჯარის, სამეურნეო სამუშაოებზე დაქირავებისა, გუბერნიაში სასოფლო სამეურნეო და საადგილმამულო დამოკიდებულებათა საკითხების შესახებ, ხოლო ეს დადგენილებანი საოლქო საადგ.-მამულო კომიტეტს უნდა წარუდგინოს დასადასტურებლად; 5) საჭიროებისა და მიხედვით უთანხმოებისა და გაუგებრობის გასარჩევად საგუბერნიო შემრიგებელ კამერის მოწყობა და სამაზრო კომიტეტების მოქმედებაში მთლიანობისა და მიზანშეწონილების შეტანა; 6) სამაზრო კომიტეტების მოქმედების თვალყურის დევნება.

სამაზრო კომიტეტის განკარგულებაში შედის იგივე, რაც საგუბ. კომიტეტების სამოქმედო პროგრამის მე-2, მე-3 და მე-5 მუხლებშია მოხსენებული, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სამაზრო კომიტეტებმა უნდა შეასრულონ საოლქო და საგუბერნიო საადგილ-მამულო კომიტეტების დავალებანი.

სარაიონო კომიტეტებს ევალებათ:

1) საოლქო საადგილ-მამულო კომიტეტის ინსტრუქციების თანახმად ძირითად საადგილ-მამულო რეფორმებისათვის საჭირო მასალების შეკრება; 2) საოლქო და საგუბერნიო კომიტეტთა დავალებათა შესრულება მაზრაში; 3) სარაიონო შემრიგებელ კამერების მოწყობა.

რედაქტორ-გამომცემელი **დ. ა. კვირკელია**


# რკინიგზის მიმოსვლა.

დრო ადგილობრივია ნაჩვენები.

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| ტფილისიდან | დილის | 7 ს. 47 | წ. |
| „ | საღამ. | 8 ს. 49 | „ |
| ბათომიდან | დღისით | 12 ს. 55 | „ |
| „ | ღამის | 11 ს. 42 | „ |
| „ | დილის | 10 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | დილის | 8 ს. 17 | „ |
| ტყიბულიდან | საღამოს | 6 ს. | „ |
| | დილის | 9 ს. 10 | „ |
| ხაშურიდან | დილის | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| ტფილისისაკენ | დილის | 8 ს. 25 | „ |
| „ | ღამის | 10 ს. 20 | „ |
| ბათომისაკენ | საღამოს | 7 ს. 1 | „ |
| „ | დღით | 1 ს. 40 | „ |
| „ | დილის | 6 ს. 20 | „ |
| ფოთისაკენ | დღისით | 3 ს. 18 | წ. |
| ტყიბულისაკენ | დილის | 7 ს. 57 | „ |
| | დღით | 2 ს. 37 | „ |
| ხაშურისაკენ | დღით | 4 ს. 40 | „ |

# ექიმები

**ა. მ. ასათიანი** ღებულობს ქალთა, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

დოკტორი მედიცინისა პრივატ დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** დაბრუნდა და განაახლა მიღება ავათმყოფებისა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდი. მისამართი: გოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.

(სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით 12½—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135.




სტამბა „შრომა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში